]

საქართველო
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1727
30/05/2016

1727-01-4-201605301509

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების იჯარის ფორმით სარგებლობაში
გაცემისათვის პირობებით ელექტრონული აუქციონის გამოცხადებისა და
გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ და „დ.ა“ ქვეპუნქტების, 118-ე მუხლის პირველი პუნქტის და 119-ე მუხლის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილების, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 25 მაისის №269 განკარგულების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1.გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების დანართი №1-ის შესაბამისად იჯარის ფორმით სარგებლობაში გაცემისათვის. /დანართი №1 თან ერთვის/.

2. დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების იჯარის ფორმით სარგებლობაში გაცემისათვის ელექტრონული აუქციონის გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია /დანართი №2 თან ერთვის/.

3.ელექტრონული აუქციონის პროცესი უზრუნველყოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტომ.

4.ბრძანება განთავსდეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ვებ-გვერდზე www.eauction.ge.

5.ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ, კონსტანტინე ქავთარაძემ.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრაძის ქუჩა №11/,მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

7.ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ნოდარ მიქიაშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი